საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №734

2007 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის არწივის ხეობის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე ხორნაბუჯის მონასტრის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის (4 ჰა ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და „სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიურ და სარიტუალო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის არწივის ხეობის ბუნების ძეგლიდან საქართველოს საპატრიარქოს გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის არწივის ხეობის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე ხორნაბუჯის მონასტრის მიმდებარედ 4 ჰა ფართობი დანართით განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად;

გ) მიჩენის ვადად განისაზღვროს 20 წელი;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. ბურჯანაძე

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიდან (არწივის ხეობის ბუნების ძეგლიდან) გადასაცემი ტერიტორიის საზღვრების კოორდინატები

№	X	Y
1.	594595	4593584
2.	594691	4593719
3.	594777	4593672
4.	594885	4593667
5.	594850	4593537
6.	594735	4593492